

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება № 378
(ოქმი № 353)

თბილისი

2017 წლის 8 ივნისი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საპრემიო ფონდის
დამტკიცების შესახებ


"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 30(1) მუხლის "ზ" ქვეპუნქტის
თანახმად და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის
02.06.2017წ. №2248/03 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

დამტკიცდეს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელში" დასაქმებულ პირთა პრემიების
წესი თანდართული სახით.

დანართი: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელში" დასაქმებულ პირთა პრემიების
წესი.


სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

გრიგოლ გოგელია



სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კობრიძე




ქეთევან მსხილაძე




მარინა მუსხელიშვილი



ირინა ფუტყარაძე



სულხან სალაძე



გიორგი ნიჟარაძე

ირაკლი პაპაგა



სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ დასაქმებულ პირთა

პრემირების წესი

1. ზოგადი დებულებები

- 1.1. სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ (შემდგომში - მაუწყებელი) დასაქმებულ პირთა პრემირების წესი (შემდგომში - წესი) წარმოადგენს მაუწყებლის სამართლებრივ აქტს, რომელიც შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ითვალისწინებს მაუწყებელში დასაქმებული პირების პრემირების წესს და პირობებს.
- 1.2. წინამდებარე წესი ვრცელდება მაუწყებელში დასაქმებულ პირებზე (შემდგომში - თანამშრომლები), გარდა მაუწყებლის გენერალური დირექტორისა.
- 1.3. წინამდებარე წესი შემოღებულია თანამშრომლების მუშაობის ეფექტიანობის და თავისი საქმიანობიდან მაქსიმალური ეფექტის მიღებაში მატერიალური დაინტერესების ამაღლების, თავისი საქმიანობის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, გამორჩეულად კარგად შესრულებული სამუშაოს, ასევე იმ გამორჩენილი ინიციატივის, კრეატიულობის და ინოვაციური იდეების წახალისების მიზნით, რაც მაუწყებლის მიზნების და ამოცანების ეფექტიანად შესრულებას უწყობს ხელს.
- 1.4. თანამშრომლების პრემირება მათი შრომის შედეგების მიხედვით წარმოადგენს მაუწყებლის უფლებას და არა ვალდებულებას, არ წარმოადგენს გარანტირებულ ანაზღაურებას და დამოკიდებულია თანამშრომელთა შრომის მოცულობასა და ხარისხზე, ასევე მაუწყებლის ფინანსურ მდგომარეობაზე და სხვა ფაქტორებზე, რომლებიც შესაძლებელია გავლენა მოახდინონ პრემირების თავად ფაქტზე და ოდენობაზე.
- 1.5. თანამშრომლების პრემირება ხორციელდება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული საპრემიო ფონდიდან, საპრემიო ფონდში შესაბამისი ფულადი რესურსის არსებობისას, რომელიც შეიძლება მიმართული იყოს მატერიალურ სტიმულირებაზე მაუწყებლის ძირითადი საქმიანობისთვის ზიანის მიყენების გარეშე.
- 1.6. პრემიების დარიცხვა და გადახდა ხორციელდება თანამშრომელთა შრომის ინდივიდუალური ან/და კოლექტიური შეფასების საფუძველზე.

2. პრემირების მაჩვენებლები და პრემიის ოდენობა

- 2.1. პრემირება ხორციელდება შემდეგი პირობების ერთდროული შესრულებისას:
 - თანამშრომლის მიერ თავისი თანამდებობრივი ვალდებულებების წარმატებული და კეთილსინდისიერი შესრულება;
 - პრემირების მაჩვენებლების შესრულება;
 - მაუწყებლის საქმიანობის დადებითი შედეგები.
- 2.2. პრემირების მაჩვენებელს წარმოადგენს:
 - გამორჩენილი ინიციატივა, რომლის რეალიზაციას მოყვა კონკრეტული შედეგი მთლიანად მაუწყებლის იმიჯისთვის, ბრენდ კაპიტალის წარმოქმნისა და ზრდისთვის, პოპულარიზაციისთვის, წარმატებისთვის, დასახული მიზნების და ამოცანების ეფექტიანად შესრულებისთვის;
 - პოზიტიური ურთიერთთანამშრომლობის ჩამოყალიბებაში ხელის შეწყობა;

- პირადი პროფესიული წარმატება და ასევე დაქვემდებარებაში არსებული თანამშრომლების ან/და კოლეგების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა/ხელის შეწყობა;
 - მაუწყებლის პროექტებში, ღონისძიებებში წარმატებული მონაწილეობა ან/და ინოვაციური, კრეატიული პროექტის შექმნა/დამუშავება.
- 2.3. ამ წესის 2.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვით პრემირების გარდა, ერთჯერადი პრემიების დარიცხვა ხორციელდება;
- მაუწყებლის საქმიანობაში, მის განვითარებაში განსაკუთრებული დამსახურებისა ან/და ღვაწლისთვის;
 - მაუწყებელში მრავალწლიანი მოღვაწეობისთვის პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.
- 2.4. ამ წესის 2.1. და 2.3. პუნქტებით გათვალისწინებული ერთეული პრემიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს პრემირებული თანამშრომლის ერთი თვის შრომის ანაზღაურებას (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით).

3. წარდგინება პრემირებაზე და პრემირების წესი

- 3.1. წინამდებარე წესით გათვალისწინებული პრემიის გადახდა ხორციელდება ერთჯერადად, მაუწყებლის გენერალური დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
- 3.2. პრემირებაზე სიები დგება მაუწყებლის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, მაუწყებლის აღმასრულებელი საბჭოს თანხმობით.
- 3.3. პრემირების შესახებ ბრძანებას გამოსცემს მაუწყებლის გენერალური დირექტორი.

4. დასკვნითი დებულებები

- 4.1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის მისი დამტკიცების მომენტიდან და მოქმედებს მის გაუქმებამდე ან პრემირების ახალი წესის დამტკიცებამდე.